საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF GEORGIA

KA060165980933014

საქართველო, 0114 თბილისი, გ.გულუას ქ. N6; ტელ:2727200, 2727220, ფაქსი:2727237; www.moe.gov.ge
6 G. Gulua Str. 0114, Tbilisi, Georgia, Tel:(+995 32) 2727200, 2727220, Fax:2727237; www.moe.gov.ge

 # 5584 **01 / ოქტომბერი / 2014 წ.**

,,სტუდიA''-ის დირექტორს
ალექს დონაძეს

ბატონო ალექს,

სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 22 სექტემბრის #14 წერილი, რომელიც ეხება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაკვეთით, ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (NCDC) ადმინისტრაციული (8 სართულიანი) და სასაწყობე (ერთ სართულიანი) შენობების მშენებლობის საკითხს.

წარმოდგენილი წერილის თანახმად, სასაწყობე ნაგებობა აშენდება მეტალის კარკასზე დამონტაჟებული სენდვიჩ-პანელებით და მასში განთავსდება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთი, ხოლო დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამი საწყობი. საწყობები განკუთვნილი იქნება მედიკამენტების, ვაქცინების, შპრიცების და მათი გადასატანი პატარა კონტეინერების განსათავსებლად.

გაცნობებთ, რომ ,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრულია ის საქმიანობები, რომელთა განხორციელებაც ექვემდებარება ეკოლოგიურ ექსპერტიზას. ვინაიდან მედიკამენტების, ვაქცინების, შპრიცების და მათი გადასატანი პატარა კონტეინერების განსათავსებლად განკუთვნილი სასაწყობე შენობების განთავსება არ შედის ზემოაღნიშნული კანონის ჩამონათვალში, თქვენს მიერ დაგეგმილი სამიანობა არ ექვემდებარება ეკოლოგიურ ექსპერტიზას და კანონით დადგენილი პროცედურების გავლას.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე მაია ბითაძე